საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჯუსოევმა ორდენოსანი სამხრეთ ოსეთის ყველა მშრომელის სახელით მიულოცა ქარხნის კოლექტივს დამსახურებული ჯილდო და უსურვა ახალი შემოქმედებითი წარმატებანი.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამდიდავმა ნ. სახაროვამ, მემინანქრე ა. კალოევამ, სამინანქრო საამქროს უფროსმა ოსტატმა რ. ცხოვრებოვმა, ტექნიკური განყოფილების უფროსმა კ. დოგუზოვამ და სხვებმა, რომლებმაც დიდი მადლობა გადაუხადეს მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

ჯილდოს პასუხად ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადაჭარბებით გამოუშვას 22 ათასი მანეთის პროდუქცია, გადაწყდა ხუთწლედის დავალება შესრულონ 1970 წლის 7 ნოემბრისათვის და უახლოეს 2-3 წელში საწარმოს სიმძლავრე გაადიდონ ხუთჯერ.

ქარხანამ მიიღო მრავალი მისალმება— კერძოდ სსრ კავშირს ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრის ა. ანტონოვის, ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ანდრეევის, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პ. კოვანოვის, თბილისის საავიაციო ქარხნის, ქარხანა „ერევანკაბელის“ კოლექტივების, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და სხვათა მისალმებანი.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს წერილი სკკ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოსადმი, რომელშიც კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ალუთქვამენ, რომ ძალღონეს არ დაიშურებენ სკკ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

„საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს რწმუნებათა ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 21 ივნისის ბრძანებულ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

დადგენილება

საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს
ბეჭდვითი
ორგანო

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღგენს:

არჩეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

ბაისურაძე ვლადიმერ ივანეს-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ჭანია სერგო იასონის-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები

იოსავა გიორგი ყირიმის-ძე
ცქიტიშვილი გიორგი კონსტანტინეს-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები:

აბაშიძე ანდრია ვლადიმერის-ძე
აბაზოვი ოთარი კოჩარის-ძე
ადამიანი სერგო გერასიმის-ძე
ბადაგაძე ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე
ბალათური ა დავით ისიდორეს-ძე
ბლიაძე გიორგი ვლადიმერის-ძე
გაბუნია გოგმარი გიორგის-ძე
გაჯიევი ნასიბ ყურბანის-ძე
გველესიანი ოთარ ალექსანდრეს-ძე
გერსამია თეიმურაზ ვალერიანის-ძე
გიორგაძე დავით ილიას-ძე
გიორგობიანი მურმან სერაფიონის-ძე
გოგაშვილი იოსებ ვასილის-ძე
დევდარიანი გრიგოლ გრიგოლის-ძე
ერქომაიშვილი ნინო ივანეს ასული
თარგამაძე უშანგი გრიგოლის-ძე
თორია შალვა დოროთეს-ძე
კობრეიძე ლობა მოსეს ასული
ლუკოვკინი ვლადიმერ სერგოს-ძე
მამეხაშვილი ზაქარია ნიკოლოზის-ძე
მახარაძე დიმიტრი ფილიპეს-ძე
მახარაძე შალვა კირილეს-ძე
მირიანაშვილი ნინო მიხეილის ასული
ნადაშვილი გიორგი ლევანის-ძე
პაიჭაძე თამარ ვლადიმერის ასული
ყორდანია იგანე შალვას-ძე
სჭანიძე გრიგოლ ეზეკიას-ძე
სუმბათაშვილი ივანე სიმონის-ძე
ფალავანდიშვილი აპოლონ ვლადიმერის-ძე
ქუმსიაშვილი ანა იორამის ასული
ღლონტი შალვა ალექსანდრეს-ძე
ცაბოლოვა ელისაბედ პავლეს ასული
ცინცაძე ალექსანდრე მიხეილის-ძე
ჭეიშვილი რუსუდან პლატონის ასული
წიკორიძე ავთანდილ-პავლეს-ძე
ჭიპაშვილი ბაბო სერგოს ასული
ხონიკიანი ადელინა ივანეს ასული
ხუციშვილი ნორა გრიგოლის ასული
ჯაფარიძე ანასტასია მიხეილის ასული
ჯიბლაძე ოთარ ალექსანდრეს-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულეები:

აფხაზეთის ასსრ

ანონბა ჯაბა შახანის-ძე
ასვანუა მაკარი ბახულის-ძე
არახამია მიხეილ სტეფანეს-ძე
გოლუა ავთანდილ მამანტის-ძე
გუნბა ჯაბალ ბაჯოს-ძე
ჯობავა ჭაბიკო ვალიკოს-ძე

აჭარის ასსრ

ბაბულაძე დიმიტრი მუხამედის-ძე
თავართილაძე ლეილა გრიგოლის ასული
მეგრელიძე რევაზ აზიზის-ძე
შუშანიძე ილია ისაკის-ძე
ცეცხლაძე გოგუცა ახმედის ასული
ხალვაში სერგო ბილალის-ძე

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი

გაგიევი ინალ ივანეს-ძე
ალანია ვალენტინა ვლადიმერის ასული
მელაძე ელენე პაველეს ასული
ჩაბოშვილი ტრისტან ნიკოლოზის-ძე
ჯავახიშვილი შოთა ვასილის-ძე

ქ. თბილისი

ბაბუთიძე მანანა მიხეილის ასული
ავაზაშვილი ანზორ იაკობის-ძე
ალექსიძე კარლო დიმიტრის-ძე
ამირჯანოვი ვახტანგ არტაშეს-ძე
ანთელავა ნუნუ გიორგის ასული
ანკოს კერიმ ზაქარიას-ძე
არზუმანოვი ლევ არკადის-ძე
ასაშვილი ვალერიან ნესტორის-ძე
აღნიაშვილი ეთერი გიორგის ასული
ბახტაძე კონსტანტინე იასონის-ძე
ბეგოიბეგოვი გირრგი ივანეს-ძე
ბედუქაძე ელეხე იოსების ასული
ბედუქაძე ვახტანგ ივანეს-ძე
ბენდუქიძე პაული ბესარიონის-ძე
ბერაძე კონსტანტინე გიორგის-ძე
ბერაშვილი ნაპო ევგრაფის-ძე
ბესტავაშვილი გიორგი მიხეილის-ძე
ბიწაძე ცაბუ ლევანის ასული
ბურჭულაძე ბელა პეტრეს ასული
გაბოძე ირინე გიორგის ასული
გაგნიძე ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე
გაოენაძე დავით აბდულის-ძე
გენაძე ოთარ პარმენის-ძე
გველუკაშვილი ვენერა ალექსანდრეს ასული
გიორგობიანი მანოლი ვარლამის ასული
გოჩიაშვილი თამარ ნიკოლოზის ასული
გოცირიძე შოთა გიორგის-ძე
გრიგოლიშვილი ალექსანდრე გრიგოლის-ძე
გულაძე თამარ ნიკოლოზის ასული
გუდუაძე ნოდარ გიორგის-ძე
გუგუშვილი რევაზ კონსტანტინეს-ძე
დანდურავი მაკაკ ნიკოლოზის-ძე
დეკანოსიძე გურამ გიორგის-ძე
დეკანოსიძე კასიონ ბესარიონის-ძე
დემეტრაძე დავით ტრიფონის-ძე
დოლიძე ვალერიანა ბაგრატის ასული
გუნჯია ნინო სვეტრიანის ასული
ენუქიძე ქეთევან დომენტის ასული
ექსეულიძე გიორგი შალვას-ძე
ვადაჭკორია ოთარ ივლიანეს-ძე
ვაშაკიძე ჯემალ გიორგის-ძე
ვაჭარაძე ვარლამ ილარიონის-ძე
ვერულაშვილი გიორგი ნიკოლოზის-ძე
ზაბილონი ზნია შალვას ასული
ზამთარაშვილი ნინო ზაქარიას ასული
ზაქარიაშვილი ირაკლი დავითის-ძე
ზაქაიძე დიმიტრი დავითის-ძე
იმნაძე ასმათ აპოლონის ასული
ინწკირველი ანანია აკაკის-ძე
იორდანიძე სოფიო ალექსანდრეს ასული
კაკაბაძე გიორგი მარკოზის-ძე
კალანდაძე ნათელა ნოეს ასული
კალანდაძე ჯემალ სამსონის-ძე
კალანდარიშვილი ავთანდილ თადეოზის-ძე
კანდელაკი დიმიტრი ივანეს-ძე
კანაჩაძე გელა სანდროს-ძე
კვანტიანი ანეტა აბოს ასული
კეშელავა ეფტიხი ივანეს-ძე
კვახაძე ოლეგ იაკობის-ძე
კილაძე თენგიზ ივანეს ასული
კობერიძე გიორგი ნიკოლოზის-ძე
კობახიძე ბიძინა სერგოს-ძე
ლეგბანიძე გიორგი გიორგის-ძე
ლეგუნოვიანი სტეფანე ივანეს-ძე
ლოლაძე გიორგი ნიკოლოზის-ძე
ლომიძე ნინო დავითის ასული
ლორია შოთა ერემეიას-ძე
მარუაშვილი ჯემალ გიორგის-ძე
მარღანია ნინო მიდიტონის ასული
მატოლეკი გიული ვლადიმერის ასული
მაღრაძე გიგი ილიას-ძე
მაჟავარიანი ალექსანდრეს-ძე
მელაშვილი გიორგი ხარდიონის-ძე
მესხი ელისაბედ ივანეს ასული
მეტრეველი ბაბილინა ბესარიონის ასული
მეხრიშვილი ოთარ ივანეს-ძე
მირზაშვილი მიხეილ ალექსანდრეს-ძე
მიქაძე თამარ თადეოზის ასული
მიხელაშვილი დანიელ აბრამის-ძე
მეეურჭლიშვილი ილია გიორგის-ძე
მფავანაძე ვიქტორია გედევანეს ასული
მჭედლიძე კლიმენტი მათეს-ძე
მშვიდობაძე გრიგოლ შეკარდენის-ძე
მხითარიანი რუბენ პაველ-ძე
ნაკაიძე ივანე ვლადიმერის-ძე
ნალბანდიშვილი თამარ ალექსანდრეს ასული
ნახაპეტიანი ალექსანდრე ბაჩოს-ძე
ომიაძე ამბროსი ვარლამის-ძე
ოსნაშვილი მაყვალა შალვას ასული
ოქროცოვიძე ვასილ ივანეს-ძე
პეტრიაშვილი ვლადიმერ სოლომონის-ძე
პინნაშვილი მაგრა სარდიონის ასული
რევაზიშვილი ეკატერინე მიხეილის ასული
რუხაძე ბორის ნიკოლოზის-ძე
საათაშვილი ყარლო რაქიდენის-ძე
სალია მერი პლატონის ასული
სეფერთელაძე დავით არტემის-ძე
სიმონია მერი მიხეილის ასული
სურგულაძე აკაკი ვიქტორის-ძე
სურგულაძე რევაზ მიხეილის-ძე
სიმონიანი რო

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 და 1970 წლების გეგმების შესახებ, საქართველოს სსრ 1968 წლის ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1966 წლის ბივჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებათა და თანამოხსენების გამო

(გაგრძელება)

როგე ტექნიკით არიან აღჭურვილი, ამაღლდა ძმენებლობის კულტურა, გეყავს მაღალი კვალიფიკაციის კადრები, გაფართოვდა მშენებლობის ბაზა. მაგრამ ამ წარმატებებთან ერთად სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში არის ნაკლოვანებებიც, რომელთა დაძლევა დაგეხმარება წარმატებით გადავჭრათ მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელი საკითხები.

დეპუტატ ზ. ნ. გასიევის

სიტყვა

წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების შედეგად, აღნიშნავს დეპუტატი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საწარმოთა უმრავლესობა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში აღწევს მნიშვნელოვან წარმატებებს, რითაც უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის წიხაზე საკისარ ვალდებულებათა შეასრულებას. ამავამად ოლქის საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები დიდ მუშაობას ეწევიან სამრეწველო საწარმოთა ახალ ეკონომიურ რეფორმაზე გადასვლის დროულად განხორციელებისათვის. ახალი ეკონომიური რეფორმა დიდად აჯანსაღებს საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობას, ამაღლებს საწარმოთა რენტაბელობას. მაგრამ, აღნიშნავს დეპუტატი, ამ საქმეში მიღწეულ წარმატებებთან ერთად გვაქვს ზოგიერთი მოუგვარებელი საკითხი, რომელთა დაძლევა საშუალებას მოგვცემდა გაგვეუმჯობესებინა და გაგვემტკიცებინა საწარმოთა საფინანსო ბაზა. ოლქში ჯერ კიდევ არის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ვერ ასრულებენ ძირითად საწარმოო-საფინანსო გეგმებს. არის შემთხვევები, როცა მთლიანად ვერ ითვისებენ კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილ სახსრებს, რაც იწვევს საცხოვრებელი სახლების, სამრეწველო და კომუნალური ობიექტების ვაქსპლოატაციიდან გადაცემის ვადების ჩაშლას.

დეპუტატი სვამს საკითხს, რომ გადიდდეს ასიგნებანი ცხენავლისა და ოლქის სხვა რაიონებისა და ქალაქების კეთილმოწყობისათვის, გამოიძებნოს სახსრები იმისათვის, რომ დამთავრდეს გარდამავალი მშენებლობანი — ერიდგის სკოლა, ზნაურის საბავშვო ბაღი და ზოგიერთი სხვა ობიექტი.

დეპუტატმა სესიის წინაშე დააყენა საკითხი აგრეთვე იმის შესახებ, რომ გამოიყოს დამატებითი სახსრები სამკურნალო წყაროების კეთილმოწყობისა და იქ ჯანმრთელობის კერების მშენებლობის დაწყების შესახებ.

დეპუტატ რ. ი. ლალიძის

სიტყვა

დეპუტატი ლაპარაკობს საქართველოში კულტურული მშენებლობის შესახებ და აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მშრომელები განსაკუთრებით მადლიერი არიან იმ დიდი მზრუნველობისათვის, რასაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა საბჭო იჩენენ ჩვენი თეატრალური კულტურისადმი.

საიუბილეო მზადება რესპუბლიკის თეატრებმა ადრევე დაიწყეს. რუსთაველის, ზაქარია ფალიაშვილის, მარჯანიშვილის სახელობის თეატრებმა. განსაკუთრებულ მნიშვნელოვანი დადგმები, რომლებმაც მაყურებელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვიეს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი ამჟამად ამთავრებს მუშაობას და მალე მაყურებლის სამსჯავროს გამოვა ფ. ლონტხის ბალეტი „ანანიადი“ და ა. თაქაიშვილის ოპერა მიხეილ ჯავახიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებთა მიხედვით. საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიხვეჭა ამ ბოლო წლებში საქართველოს ესტრადამ. საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში და სამრეწველო ცენტრში წარმატებით გამოდიან ჩვენი საესტრადო კოლექტივები და ცალკეული შემსრულებლები. მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. ამ მიმართულებით საბჭოთა მოწყობილობითა და ინვენტარით. დეპუტატი ხუთოს სესიას გათვალისწინოს დამატებითი სახსრები ამ მიზნებისათვისაც.

დეპუტატ დ. დ. მაღალაშვილის

სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის სახელმწიფო გეგმა და ბიუჯეტი ერთხელ კიდევ მოწმობენ ჩვენი პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას რესპუბლიკის ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარებისა და შემდგომი აყვავებისათვის. მოხსენებებსა და თანამოხსენებაში მკეთიოდა ასახული, თუ როგორ სრულდება საქართველოში სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარე ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმები. რესპუბლიკის მშრომელთა ამ წარმატებებში არის ხაშურის რაიონის მშრომელთა წვლილიც, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის წარმოების გასული წლის გეგმები და წარმატებათ ანალიზებენ მიმდინარე წლისათვის დასახულ ამოცანებს. სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 118,4 პროცენტით. შარშანდელთან შედარებით წარმოებული პროდუქციის მოცულობა გადიდდა 38,1 პროცენტით. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

რაიონში მწყობრში დგებიან ახალი სამრეწველო საწარმოები. წელს მინის ტარის ქარხანამ უკვე გამოუშვა 7 მილიონი ნახევარლიტრიანი ბოთლი. მისი წლიური სიმძლავრე იქნება 140 მილიონი ბოთლი, როგორც ცნობილია, აღნიშნავს დეპუტატი, ქალაქ ხაშურში დაწყებულია და მიმდინარეობს საფეერკრო-საგალანტერეო ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც სავსებლოატაციოდ უნდა გადაეცეს 1969 წელს. ფაბრიკა წლიურად გამოუშვებს 28 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქციას, რის შედეგად ოთხჯერ და უფრო მეტად გაიზრდება რაიონის მრეწველობის პროდუქციის მოცულობა. მაგრამ წელს პირველი სექტემბრისათვის სამრეწველო მშენებლობაზე ათვისებულია მხოლოდ 1.950 ათასი მანეთი. დეპუტატი სთხოვს მშენებლობისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებს გაითვალისწინონ შექმნილი მდგომარეობა და ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ დროულად ჩაგვეს მწყობრში მშენებარე ფაბრიკა.

დეპუტატმა ილაპარაკა აგრეთვე სოფლის მშრომელთა წარმატებებზე და რაიონის კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა სახელით პირობას სცემს, რომ 7 ნოემბრისათვის ისინი სახელმწიფოს მიაყიდიან დამატებით 600 ტონა ხილს, 500 ტონა ბოსტნეულს, დიდძალ ხორცსა და კვერცხს. დეპუტატი სთხოვს სესიას გათვალისწინოს დამატებითი სახსრები ხაშურის რაიონში სატმბავი სადგურის მშენებლობისათვის, რომელიც მორწყავს როგორც ხაშურის, ავრეთვე ქარელის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფართობებს, რაც ხელს შეუწყობს ამ მეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებას.

დეპუტატ მ. ე. თოფურიძის

სიტყვა

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ძლიერი ყოველმხრივ განვითარებული ეკონომიკა. ამან საშუალება მისცა საბჭოთა სახელმწიფოს სისტემატურად იზრუნოს ხალხის კეთილდღეობისათვის და სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. პარტია და მთავრობა სისტემატურად ახორციელებენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის სქემის ყოველმხრივი გაუმჯობესება. ჩვენს ქვეყანაში შემოღებულია კოლმეურნეთა ეკონომიური ინტერესების სოციალური უზრუნველყოფის ეყარი სისტემა, რომლის მიხედვითაც კოლმეურნეს შეიძლება დაენიშნოს მოხუცებულობის, ინვალიდობის პენსიები, ავრეთვე შემნახველის დაკარგვის შემთხვევაში და დროებით შრომისუუნარობის შემთხვევაში. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მეშვიდრის, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების საპენსიო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამასწინანდელი ბრძანებულებით კიდევ უფრო ფართოვდება საპენსიო მომსახურების ფორმები.

დეპუტატი შემდეგ აღნიშნავს, რომ ამჟამად რესპუბლიკაში 726 ათასზე მეტი კაცი სარგებლობს სოციალური უზრუნველყოფით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი მეექვსე მოქალაქე იღებს პენსიას ან ყოველთვიურ დახმარებას, ანდა იმყოფება სრულ სახელმწიფო ჭამაყოფაზე. სისტემატურად იზრდება სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ასიგნებანი. მიმდინარე წელს ეს თანხები შეადგენენ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო გასავლის 13 პროცენტს, ანუ 191 მილიონ მანეთს. ამჟამად 90 ათასზე მეტი პენსიონერი — ხუთა რამ მოსამსახურე თავისი შესაძლებლობის ფარგლებში შრომობს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე და ამავე დროს იღებს პენსიას სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან.

დეპუტატი თხოვნით მიმართავს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელ მუშაკებს ეტი ყურადღება დაუთმონ სოციალური უზრუნველყოფის ასებულ ბენეფიციართა მუშაობას, შეიქმნან მუშაობის ნორმალური პირობები მათ წინაშე დაკისრებული პასუხისგებლ და მნიშვნელოვანი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

დეპუტატ ზ. ბ. გუცხრიკიძის

სიტყვა

დეპუტატი ლაპარაკობს ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის საწარმოო საქმიანობაზე და აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა ქარხნის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, კერძოდ რეალიზაციის გეგმის გადაჭარბებით შესრულების, ნაღალი მარკის ფეროშენადნობთა წარმოების გადიდებისათვის, თვითღირებულებისა და საერთო საქართველო ხარჯების შემცირებისათვის. გადიდებულია შესრულებული მოგების გეგმა. ქარხნის კოლექტივის ყირმოთიანი მუშაობის შედეგად დაზოგილია რამდენიმე მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია და ორმა ათასი ტონა პირობითი სათბობი.

სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან ქარხნის კოლექტივის შემოქმედებითი თანაშრომლობის საფუძველზე თეორიულად გადაწყდა და დანერგა მეტალურგიის ბევრი საპრობლემო საკითხი. ზესტაფონის ქარხანაში ათვისებულია ახალ საჩრობათა შენადნობის სამრეწველო მასშტაბით წარმოება. ათვისებულია დახურული ღუმელების ექსპლოატაციის რეჟიმი და სხვა სიახლენი. ამ სიახლეთა დანერგვისა და საწარმოს კოლექტივის დაეუცხრომელი გარჯის შედეგად პროდუქციის ხარისხობრივი ნაჩვენებლები წლითიწლობით უმჯობესდება. უკვე რამდენიმე წელია ქარხანას არც ერთი რეკლამაცია არ მიუდია არც საბჭოთა საწარმოებიდან, არც საზღვარგარეთიდან. მნიშვნელოვნად ამაღლდა წარმოების კულტურა და სამრეწველო ესთეტიკა, გაუმჯობესდა ნუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

დეპუტატი სთხოვს სესიას გათვალისწინოს დამატებითი სახსრები ზესტაფონელი პიონერებისათვის ჩუმათელეთში პიონერთა ბანაკის მშენებლობისათვის.

დეპუტატ შ. ნ. ჟილლაძის

სიტყვა

ჟიათურის მშრომელები, ამბობს დეპუტატი, იყვნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე და ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები და ისინიც სწორედ ისე შრომობენ, როგორც შეაფერით ამ დიდი თარსობის ინიციატორებს. ლენინის ორდენოსანი ჟიათურის მარგანეცის ტრესტის მრავალათასიანი კოლექტივი საამაყო მაჩვენებლებით ეგებება საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარსუკუნოვან იუბილეს. მარგანეცის ტრესტის კოლექტივმა უკვე 13 სექტემბრისათვის შეასრულა 9 თვის საწარმოო დავალებები და ნაკისრი ვალდებულებანი, სამშობლოს დაუზოგა 300 ათას მანეთზე მეტი. ეს იმის შედეგია, რომ მარგანეცის ტრესტის სისტემის ყველა მაღაროსთამმართველო და დამხმარე საწარმო მაღალი ეკონომიური ნაჩვენებლებით და რენტაბელურად მუშაობს. ჟიათურაში არა მარტო მარგანეცის მეშვეველობა მუშაობს გამართულად, არამედ მთლიანად ქალაქის სამრეწველო საწარმოები დიდი დადასტურებით ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს.

დიდი ღონისძიებები ხორციელდება მაღაროელთა ქალაქის კეთილმოწყობისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ჟიათურა მშენებლობის ხარაჩოებშია. შენდება სრულიად საკავშირო ბნიშვნელობის ობიექტები, ახალი მაღაროები და სამრეწველო საწარმოები, ელექტრალური საფლოტაციო ფაბრიკა, რესპუბლიკაში პირველი ავარიის სილის გამამდიდრებელი ფაბრიკა და სხვა საწარმოები. ახლახან ქალაქში საფუძველი ჩაეყარა 14-სართულიან საცხოვრებელ სახლს. ბევრი რამ გაკეთდა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რამაც შექმნა ნუშა-მოსამსახურეთა როგორც ნაყოფიერი შრომის, ისე შინაარსიანი დასვენების პირობები.

დეპუტატ ა. ა. კოლინცევას

სიტყვა

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი. ეს თარიღი მეტად მნიშვნელოვანია თითოეული საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში. რუსთავის მშრომელები დიდი ენთუზიაზმითა და სახალხოელთ გეგმებიან მას. ქალაქი ხომ ოქტომბრის პირმშოა, მან ხომ სულ რამდენიმე წლის წინათ აიდგა ფეხი. დღეს კი რუსთავი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრია. რაც უფრო ახლოვდება დიდი დღესასწაული, მით უფრო ძლიერდება სოციალისტური შეჯიბრების ტემპი. რუსთავის მშრომელები თავიანთ საჩუქარს ეზადებენ იუბილეს, შეაქვთ ღირსეული წვლილი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ქალაქის უდიდესი საწარმოს — მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი ეარშან გამოვიდა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად და მოეწონა მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, საკენკილო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კოლექტივებს მაღალი მაჩვენებლებით შეხვედრდნენ სახელოვან თარიღს. საწარმოს კოლექტივს შეუძლია ეამაყოს მიღწეული წარმატებებით. მომდინარე წლის პირველი კვარტალის შუამავლის შედეგების ნიხეიდვით ქარხნის კოლექტივს სსრ კავშირის ფერი მეტალურგიის სამინისტროს კოლეგიისა და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მიეკუთვნა პირველი ადგილი საბჭოთა კავშირში და ამ სამინისტროსა და პროფკავშირის გადამავალი წითელი დროშა. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაიზარდა 7,1 პროცენტით, საწარმოს კოლექტივმა წარმატებით გაართვა თავი ნედლეული ენერგეტიკული დანახარჯების შემცირების ვალდებულებას, საიუბილეო შეჯიბრების დროს დანერგილ რაციონალიზატორულ წინადადებათა ეკონომიური ეფექტი 150 ათას მანეთს აღემატება.

წარმატებით მუშაობენ მიმდინარე წელს რუსთავის სხვა სამრეწველო საწარმოებიც.

დეპუტატი აღნიშნავს ავრეთვე, რომ მნიშვნელოვნად გაუჯობესდა მოსახლეობის წყლით მომარაგება, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურება. მაგრამ რუსთავის მშრომელებს სურთ იხილონ თავისი ქალაქი კიდევ უფრო ლამაზი. დეპუტატი სთხოვს სესიას გამოიყოს დამატებითი სახსრები ბინების ქალაქმოწყობისა და რემონტისათვის.

ლენტეხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ნ. ა. ჯამგურიძის

სიტყვა

რევოლუციამდელი სვანეთის ბუდმიერი თანამგზავრი იყო სიღატაკე, უწიგნურობა, ეპიდემიური დაავადებანი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამ მხარემ სრულიად იცვალა სახე. მატერიალური და სულიერი ძალების აყვავებამ გარდაქმნა მთის კაცის ცხოვრება. დღეს სვანეთის სოფლებში არის სკოლების, საბავშვო ბაღების, კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების ფართო ქსელი.

რაიონის მშრომელები ეარგ საჩუქარს იღებენ მომდინარე საიუბილეო წელს. მთავრდება სოფლების მთლიანი ელექტრიფიკაცია. იუბილეს დღეებში ლენტეხელი მშრომელები პირველად ნახავენ ცისფერ ეკრანზე საზეიმო გადაღცემებს. ეს ყველაფერი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგია.

ორატორი ჩერდება ავრეთვე გადაუწყვეტელ საკითხებზე და აღნიშნავს, რომ რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარების მიღწეული დონე ჯერ კიდევ არ არის საკმარისი მოსახლეობის მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. თავისი გამოსვლის ნაწილი მან დაუთმო სვანეთი მშენებლობის საკითხებს და თქვა, რომ ამ ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა ცაგერი-ლენტეხის გზის გაფართოებისათვის, მაგრამ ეს სამუშაოები საკმარისი არ არის. საჭიროა რესპუბლიკის გზატკაცებმა საქმართველომ შეისწავლოს რაიონის საავტომობილო გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის მდგომარეობა და განსახორციელოს ღონისძიებანი, რათა გაისად დამთავრდეს ცაგერი-ლენტეხის და დაიწყოს ლენტეხი-ჩიხარეულის გზების რეკონსტრუქცია.

ორატორი სთხოვს სესიას დაისახოს ზომები ლენტეხში პარკების ქარხნის მშენებლობის დაჩქარებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მუშახელის დასაქმებას და რაიონის ეკონომიური დონის აწევლებას.

ლენტეხის რაიონი მდიდარია საუკეთესო მარმარილოს საბადოებით. ორატორი სთხოვს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაუშვას გამონაკლისი და მარმარილოს საბადო წარმოების მოსაწყობად გადასცეს ადგილობრივი მრეწველობის სანინისტროს და მარმარილოს წარმოება დაიწყოს რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა. საჭიროა გამოიყოს აგრეთვე დამატებითი სახსრები ბეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ჩაფართოებისათვის.

დეპუტატ ნ. ბ. ჩხოლარიას

სიტყვა

ჩვენი ქვეყნის არსებობის 50 წელი არის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის წლები, ახალი ადამიანის აღზრდის, კომუნისტური მორალის დამკვიდრების წლები. დიდი ლენინის პარტიამ შეძლო საბჭოთა ქვეყნის ხალხებში აღეზარდა ძმობისა და ერთობის უკეთესი მბრძოლი.

დეპუტატი ლაპარაკობს გეგეჭკორის რაიონის მშრომელთა მიერ საიუბილეო წელს მოპოვებულ წარმატებებზე და განსაკუთრებით აღნიშნავს მეჩიეთა სასახელო შრომას. რაიონის მეჩაიეებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი საიუბილეო ვალდებულებანი და გეგმით გათვალისწინებული 9.350 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 9.900 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. დიდ წარმატებებს მიაღწია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი დროშის მფლობელმა დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა, რომელმაც სახელმწიფოს მიაყიდა 2.650 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სასახელოდ იშრომეს ნაგვაზაოს, სალხინოს, დიდი ჭყონის, დაბა გეგეჭკორის კოლმეურნეობებმა. კარგად იმუშავეს აგრეთვე ჩაის მრეწველობის მუშაკებმაც.

ნაყოფიერად იშრომეს, რაიონის მეაბრეშუმეებმა, რომლებმაც პირველი გადმოკვებით სახელმწიფოს ჩააბარეს 227 ტონა ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი — ათი ტონით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. ვადამდე და დიდი გადაჭარბებით შესრულდა ყურძნიანი და თესლოვანი ხილის დამზადების გეგმები. კარგი შედეგებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც.

საწარმოო გეგმების შესრულებასთან ერთად დიდი ღონისძიებები განხორციელდა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, საკოლმეურნეო წესდების დაცვისათვის. ყოველივე ამის შედეგად განმტკიცდა რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა. ისინი რენტაბელურად მუშაობენ. გაუჯობესდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების საქმე. ყველა კოლმეურნეობა საკუთარი საშუალებებით მთლიანად სახელმწიფო სესხის გარეშე უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურებას.

დეპუტატი ლაპარაკობს აგრეთვე გეგეჭკორის რაიონის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მნიშვნელოვან გაუჯობესებაზე და აღნიშნავს, რომ წელს მთლიანად დამთავრდა რაიონის ელექტრიფიკაცია. ხუთ სოფელში გაიხსნა ახალი სკოლები, აშენდა ორი კულტურის სახლი, 11 საავადმყოფო, 5 საზოგადოებრივი კვების ობიექტი, 8 საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმო, 2 სოფლის საავადმყოფო.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მ. ი. კუჭავას

სიტყვა

საბჭოთა ადამიანებისათვის მინიჭებულ უფლებათაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია კონტროლის უფლება, რომელსაც ისინი ახორციელებენ სახელმწიფო და საზოგადოებიერი ორგანიზაციების, მათ შორის სახალხო კონტროლის ორგანოების მეშვეობით. ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გარდაიქმნა კონტროლის ორგანები. ამან უზრუნველყო მშრომელთა ფართოდ ჩაბმა კონტროლის საქმეში, აამაღლა კონტროლის ეფექტიანობა. რესპუბლიკის 173 ათასი სახალხო-კონტროლიორი და „კომკავშირულ პროექტორში“ გაერთიანებული მათი ახალგაზრა მეგობრები მოქმედებენ სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების ყველა უბანზე.

სახალხო კონტროლის ორგანოების ძალა ადამიანებშია, აღნიშნავს შემდეგ ორატორი. ჩვენ კი საუკეთესო აქტივისტები გვყავს — წარმოების მოწინავენი, ოთვალფრები, კომუნისტური შრომის ადამიანები. ისინი ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებენ. მათი მასობრივი მონაწილეობა სამუშაოებში ხელს უწყობს მიმდინარე წლის მოსავლის სანიმუშოდ აღებას და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხიანად დამზადებას. ამ საქმიანობაში ჩაბმულია სოფლის ყველა სახალხო კონტროლიორი — 70 ათასზე მეტი კაცი. მათ გამოავლინეს და აღმოფხვრეს მოსავლის ასაღები აგრეგატების მოცდენის მრავალი ფაქტი, წამოაყენეს წინადადებანი მუშახელის უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის. თვითონვე გეიჩენენენ თავდადებული შრომის მაგალითებს. სახალხო კონტროლიორთა აქტიური მონაწილეობით გადაჭარბებით შესრულდა მაკი ლიბონის ჯართის დამზადების 9 თვის გეგმა და დამატებითი დავალება. ჩვენი ქვეყნის მეტალურგებმა მიიღეს 11 ათასი ტონა ზეგეგმით ჯართი. ეფექტიანი იყო სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობის მასობრივი შემოწმება. გაუმჯობესდა ავტომატრანსპორტის მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, მარტო ივნისში, როცა შემოწმება ხორციელდებოდა, მეზაღრთა გადაყვანით მიღებულმა ზეგეგმითმა შემოსავალმა შეადგინა 700 ათასი მანეთი. ეს მაშინ, როცა წინა თვეებში შემოსავლის გეგმებიც კი არ სრულდებოდა. აქტიურად მუშაობენ სახალხო კონტროლიორები საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში. რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოები სისტემატურად იღებდნენ ზომებს სახალხო მეურნეობაში მომჭირნეობის ღონისძიებათა დანერგვისათვის, საწარმოო და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცებისათვის.

სახალხო კონტროლის ორგანოებს თავიანთ ამოცანად მიიჩნიეთ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მოამაგალში, კიდევ უფრო სრულყონ მუშაობა, რათა თავიდან ავიცილოთ შეცდომები და ხარვეზები მუშაობაში, ხელი შევუწყოთ მათს დროულ გამოსწორებას.

დეპუტატ გ. ხ. არგუმანიანის

სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დასახა დიდი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი მკვეთრი გაუმჯობესება. ახალქალაქის რაიონის მშრომელები მშობიარი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას უპასუხებენ თავდადებული შრომით, ისინი იცხადებენ, რომ არ დაზოგავენ ძალღონესა და ენერგიას, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიდ საქმეში. რაიონის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა ხელისუფლების ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში. გეგმის გადაჭარბებით აწარმოეს დიდძალი სოფლის მეურნეობის პროდუქტი. ყველა მაჩვენებლის მიხედვით შესრულდა მიმდინარე წლის ცხრა თვის გეგმა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დარგში. 20 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 1.747 ტონა მარცვალი, 10.075 ტონა; რძე, 2 ათას ტონაზე მეტი ხორცი, 268 ტონა მატყლი, 1.175 ათასი ცალი კვერცხი და სხვ.

შემდეგ დეპუტატი ლაპარაკობს სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა. და ბიუჯეტის შესახებ და აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების 1968-1970 წლების გეგმები სრულად უზრუნველყოფენ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომ მძლავრ აღმავლობას, მათ შორის სოფლის მეურნეობის განვითარებას. რაკონის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის საკმაო რეზერვები გვაქვს. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნიშვნა სარწყავი ირიგაციის მშენებლობის, რომელთა ავგები ბევრგან უკვე დაიწყო. მათი დამთავრება საშუალებას მოგვცემს დამატებით მოერწყოთ 4 ათასი ჰექტარი მიწა. მაგრამ, აღნიშნავს დეპუტატი, სარწყავი ირიგაციის მშენებლობის ტემპი დამაკმაყოფილებელი ვერ არის. საჭიროა დაისახოს ღონისძიებანი ამ მშენებლობათა დროულად დამთავრებისათვის, დეპუტატი სთხოვს აგრეთვე სესიას გამოიყოს დამატებითი სახსრები ახალქალაქისა და რაიონის სოფლების შემდგომი კეთილმოწყობისათვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

დეპუტატ ს. ვ. დურმიშიძის

სიტყვა

გაზეთებში, ამბობს ამბ. დურმიშიძე, გამოქვეყნებულია დადგენილება იმის შესახებ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სამახსოვრო დროშით დაჯილდოებულია რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია. დადგენილებაში აღნიშნულია აკადემიის დამსახურება ამ წარმატებათა მიღწევაში, რომლებიც მოპოვებულია რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკის განვითარების და მეცნიერული კადრების მომზადების საქმეში. აკადემიის კოლეგიის სახელით დეპუტატი მადლობას უძღვნის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მეცნიერებათა აკადემიის კოლეგიტურ შრომას ესოდენ დიდი დაფასებისათვის. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია შემდგომშიც ყველაფერს იზრუნებს იმისათვის, რომ ქართველ მეცნიერთა წვლილი უფრო მნიშვნელოვანი იყოს ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის, სახალხო მეურნეობის წინსვლისა და განვითარების საქმეში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კვლევის ძირითადი მიმართულებანი მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვე მეცნიერების ამოცანების გადაწყვეტასთან, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ-შემენებლობასთან. აკადემიის 1968 წლის გეგმა რთველისწინებს, რომ გაფართოვდეს თანამედროვე მეცნიერების აქტუალური პრობლემების კვლევა, შესმტკიცდეს სამეცნიერო დაწესებულებათა კავშირი ცხოვრებასთან, გაუმჯობესდეს წარმოებაში მეცნიერული მიღწევების დანერგვა, გაძლიერდეს და უფრო სრულყოფილი გახდეს მეცნიერული კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

შემდეგ დეპუტატი ლაპარაკობს ქართველ მეცნიერთა მიღწევებზე. მეცნიერების სხვადასხვა დარგში და განსაკუთრებით უსაკმს ხაზს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებას „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის გაზრდის ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებამ, ამბობს იგი, ახალი მძლავრი სტიმული მისცა ამ დარგების მეცნიერთ თავიანთი კვლევითი მუშაობის გაუმჯობესებისა და გაღრმავებისათვის, ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან უფრო მჭიდრო შემოქმედებითი კავშირის დამყარებისათვის.

ჭეშმარიტად გრანდიოზული წარმატებებით ხვდება საბჭოთა ქვეყანა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს. სულ ახლახან საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა

(დასასრული მე-5 გვ.).



საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია. სურათზე: რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების

კომპეტი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 და 1970 წლების გეგმების შესახებ, საქართველოს სსრ 1968 წლის ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1966 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებებთა და თანამოხსენების გამო

(დასასრული)

...ენერი-4"-მა პირველმა განახორციელა ...ნიერული გაზომვები სხვა პლანეტა-ზე. კაცობრიობა გაოცა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ამ ახალმა უდიდესმა მიღწევამ. ჩვენი ხალხი იმედიანად უყურებს მომავალს და ღრმად არის დარწმუნებული, რომ ოქტომბრის წელიწადი...ცვის საუკუნის მეორე ნახევარი და მასთან ერთად მთელ კაცობრიობას მოუტანს უფრო დიდ სიკეთეს. ახალ ...ანიშნავ გარდაქმნათა მოწმედ გახდეს, ამის საწინდარია თვით საბჭოთა ...ამიანების დაუცხრომელი შემოქმედებითი შრომა და კომუნისტური პარტიის ...ძნული ხელმძღვანელობა.

დეპუტატ
ე. ა. კაპანაძის
სიტყვა

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ...ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა მნიშვ...ელოვანი წარმატებანი მოიპოვეს. საგ...ნმობლად განმტკიცდა სკოლების მატ...ერიალური და სასწავლო ბაზა. ძირითადი დამთავრდა რვაწლიან საყოველთაო ...ასწავლის გადასვლა, მზადდება პირობები უახლოეს წლებში საყოველთაო გა...ნათლების განსახორციელებლად საშუ...ო სკოლის ფარგლებში. მნიშვნელოვ...ი ზრდება მოსწავლეთა რიცხვი. მიმ...ნარე სასწავლო წელს სკოლებში მი...ონამდე ბავშვი და მოზარდი სწავ...ობს. რომელთაც ეშსახურება 75 ათა...ამდე პედაგოგი.

...ყოველწლიურად უმჯობესდება სკო...ებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუ...ობა, ცალკეული სასწავლო დისციპლი...ების სწავლება; ამაზე მიუთითებს ის ...ქტი, რომ ამ ბოლო დროს საშუალო ...ოლის კურსდამთავრებულნი უკეთ ამზ...ებენ მისაღებ გამოცდებს უმაღლეს სა...წავლებლებში. დიდი ყურადღება ექ...ცა მოსწავლეთა იდეურ-ესთეტიკურ ...ალრდას.

...ეპეტატი ამ მიღწევებისა. ამბობს ...ემდეგ დეპუტატი. ჩვენი სკოლების ერ...ი ნაწილი ჯერ-ჯერობით ვერ ერთმანეთს ...ეს ამოცანებს, რასაც მას საბჭოთა ხალ...ის მზარდი კულტურული დონე უყენ...ებს. მათი მეშვეობის მთავარი ნაკლი ...ია, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ რაონში ჯერ ასრულებენ სკოლებში მოსწავლეთა მიზიდვის ჯერას. ეს განსაკუთრებ...ით ეხება საშუალო სასკოლო ინტერნატებს, ახალციხის, დმანისის, მახარაძის, ...ოკის, ჩოხატაურის რაიონებს. ახალ...ალაქობის სკოლაში ჩაბმის საქმეში ...ოდა დახმარება გვიწევენ რესპუბლიკის ...ალალფული საბჭოს ფონდი, რომელ...ც უმუშაოდ მონაწილეობენ საყოველ...ოთა სავალდებულო სწავლების განხორ...ციელებაში. ორატორი სთხოვს დეპუტა...ტებს ყველაკერ არ შეესუსტონ ყურადღება ...ამ ფრად მნიშვნელოვანი საკითხის ...ამართ.

...ეპეტატი სთხოვს სესიას გამოიყოს ...ამატებითი თანხები საასკოლო შენობა...თა მშენებლობისა და რემონტისთვის, ...აგრეთვე სკოლების კაბინეტ-ლაბორატ...ორიების საჭირო ინვენტარით აღჭურვისა...თვის.

დეპუტატ
ა. ი. გონაშვილის
სიტყვა

ეროთელწყაროს რაიონის მშრომელების დიდი პროლეტიკური და შრომითი ...ალობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური ...ომიტეტის სექტემბრის პლენუმის ...სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ...ასწინანდელი სესიის გადაწყვეტილებებმა, რომლებშიც დასახულია საბჭოთა ...ეკონომიკის შემდგომი განმტკიცების, ...ანი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ...ალისა და ხალხის კეთილდღეობის გა...ზრდისებრის ღონისძიებანი. პლენუმისა ...ა სესიის დოკუმენტებმა, ხაზგასმით ...ინიშნავს დეპუტატი, ერთხელ კიდევ ...ადასტურეს, რომ კომუნისტურ პარტიას ...ი აქვს უფრო მაღალი ინტერესები, ...ვიდრე კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ...ალხის კეთილდღეობა.

...ეთელწყაროს რაიონის მშრომელებმა ...ნ დიდი ენერგიით ერთ ერთმანეთს ...ეგებეთ შეასრულეს საოქტომბროდ ...ასრულებული ვალდებულებანი სახალხო მეურ...ეობის ყველა დარგში. გადაჭარბებით ...ეს შესრულებული რაიონის 1966 წლის ...ეგეგმის დავალებანი, წინასწარი მონაცემებით გადაჭარბებით შესრულდება აგ...ეთვე რაიონის მიმდინარე წლის ბიუჯეტიც.

...ეპეტატი, ლაპარაკობს რა რაიონის ...ომელთა წარმატებებზე, განსაკუთრებით უსვამს ხაზს სოფელ ზემო მაჩხაანის ...ენეზეთა შრომითის საქმიანობას. ზემო...აჩხაანელმა მევენახეებმა ყურძნის საგ...ანგრო მოსავალი მიიღეს — ყოველ ...ექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 43 ცენტნერისა მოკრიფეს 81 ცენტნერი ყურძენი. კოლმეურნეობამ წელს დაიმსახურა ლენინის ორდენი და საიუბილეო სამახსოვრო დოროშა.

წელს რაიონის კოლმეურნეობებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი ბოსტნეულ-ბოლოქნელის წარმოების გაფართოებას, რასაც თავისი შედეგი მოჰყვა — უკეთესად ვიმაყოფილებთ მოსახლეობის მოთხოვნილებას. ბოსტნეულ-ბაღჩეულის ბაზრის ფასები შემცირდა და გაიზარდა მათი სახელმწიფოსთვის მიყიდვა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის დადგენილების შემდეგ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად განმტკიცდა კოლმეურნეობათა სამეურნეო მეურნეობა. შესაბამისად გაიზარდა შრომადღის ანაზღაურება.

რაიონში მზესუმზირას წარმოების გადიდებასთან დაკავშირებით დეპუტატი აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ დიახსოს ღონისძიებანი მარცვლეულისა და მზესუმზირასთვის დამატებითი ელეკტორის მშენებლობის შესახებ. საჭიროა გადაწყდეს აგრეთვე რაიონში ზეთსახდელი ქარხნის აგების საკითხი.

დეპუტატ
მ. ფ. ჩხეიძის
სიტყვა

საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკის მსუბუქმა მრეწველობამ განვლო ...ავლო განვითარების დიდი გზა. საქართველოს მსუბუქი მრეწველობა ითვლება ...ულ რამდენიმე კუსტარულ საწარმოს, რომელთა პროდუქცია ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებებს. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით, ამბობს დეპუტატი, ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქმა მრეწველობამ სავსებით იცვალა სახე და დღეს წარმოადგენს მრავალდარგოვან განვითარებულ მრეწველობას, რომელიც აერთიანებს 73 მსხვილ და საშუალო ტიპის საწარმოს. საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოები უშვებენ შალისა და ბამბის, ქსოვილებს, ტრიკოტაჟის ნაწარმს, აბრეშუმის ძაფს, ტყავის ფეხსაცმელს და სხვა პროდუქციას.

უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო გაზარდეს მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა. 1967 წელს 1960 წელთან შედარებით ორჯერ და მეტად გაიზარდა ტრიკოტაჟის ნაწარმის გამოშვება, 30 პროცენტით ჯადიდდა შალის, აბრეშუმის და ბამბის ქსოვილის წარმოება, 21 პროცენტით — ფეხსაცმლის წარმოება და სხვა. ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვამ და ახალი სახის ნედლეულის ფართოდ გამოყენებამ განაპირობეს ასორტიმენტისა და ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება.

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა გარკვეული მოსამზადებელი სამეშაოები შეასრულეს დაგეგმვის ახალ წესსა და ეკონომიურ სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად, რამაც მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მოგვცა. ახალ სისტემაზე მომუშავე საწარმოებში მთლიანი პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 18,1 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება 18,2 პროცენტით. ამ საწარმოებმა მოგების 8 თვის გეგმა 101,4 პროცენტით შესრულეს და გეგმის გადაჭარბებით მიიღეს 240 ათასი მანეთი მოგება.

მიღწეულ წარმატებებთან ერთად, მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი: დაბალია გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, გაფართოებასა და გამდიდრებას საჭიროებს ჩვენი ნაწარმის ასორტიმენტი, ბევრი რამ არის კიდევ გასაკეთებელი ქსოვილების მხატვრულად გაფორმების, შეკერილი ტანსაცმლის მოდელებისა და ფასონების გაუმჯობესების საქმეში. დიდი ჩამორჩენაა აგრეთვე დაზგა-დანადგარების დატვირთვისა და გამოყენების საქმეში. მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ შეიმუშავა და რესპუბლიკის მთავრობას განსახილველად წარუდგინა საწარმოთა სრული სპეციალიზაციის განხორციელების ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება ნორმალური საქმიანი ურთიერთობა საწარმოთა შორის, გაძლიერდება პასუხისმგებლობა მზა პროდუქციისა და ნახევარფაბრიკატების ხარისხისათვის, განმტკიცდება საერთო საწარმოო დისციპლინა. ეფექტიანად განაწილდება შრომა საწარმოთა შორის, რაც თავის მხრივ შრომისა და დაზგა-დანადგარების ნაყოფიერების ზრდის გარკვეული გარანტიაც იქნება.

დეპუტატ
ზ. გ. შამილოვის
სიტყვა

დეპუტატმა კმაყოფილების გრძნობით მოახსენა სესიის მონაწილეებს, რომ მარნეულის რაიონის მშრომელებმა ფრიად დიდ წარმატებებს მიაღწიეს მიმდინარე საიუბილეო წლის დავალებათა და ვალდებულებათა შესრულების საქმეში. რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსთვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყიდვის გეგმები. სახელმწიფოს მიეყიდა 9.800 ტონა მარცვალი, 8.800 ტონა ყურძენი, 5.071 ტონა ბოსტნეული, დიდძალი ხილი, ეთერზეთოვანი კულტურები, აბრეშუმის პარკი, რაბბაქო, და სხვა გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და მატყლის მიყიდვის ცხრა თვის დავალებანი.

